



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

---

1959 • 50 • 2009

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე „კვიციანი საქართველოს წინააღმდეგ“

(საჩივარი № 16277/07)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

21 ივლისი 2009

საბოლოო გახდა  
21/10/2009

*წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.*



**საქმეში: კვიციანი საქართველოს წინააღმდეგ,**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეორე სექცია)  
პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ფრანსუაზ ტულკენსი, *პრეზიდენტი,*

ირენეუ კაბრალ ბარეტო,

ვლადიმერო ზაგრებელსკი,

დანუტე ჟოჩიენე,

დრაგოლიუბ პოპოვიჩი,

ანდრაშ შაიო,

ნონა წოწორია, *მოსამართლეები,*

და სალი დოლე, *სექციის განმწესრიგებელი,*

განიხილა რა საქმე განცალკევებით პალატის 2009 წ. 30 ივნისის  
სხდომაზე,

გამოიტანა წინამდებარე გადაწყვეტილება:

**პროცედურა**

1. საქმეს საფუძვლად უდევს საქართველოს მოქალაქის, ბ-ნ ამირან კვიციანის („მომჩივანი“) მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად, 2007 წ. 4 აპრილს სასამართლოში შეტანილი საჩივარი (№ 16277/07).
2. მომჩივანს წარმოადგენდა ბ-ნი ვახტანგ კეკელიძე, თბილისში მოღვაწე ადვოკატი. საქართველოს მთავრობას თანმიმდევრობით წარმოადგენდნენ ბ-ნები დავით თომაძე და ლევან მესხორაძე, იუსტიციის სამინისტროდან.
3. 2007 წ. 11 დეკემბერს მეორე სექციის პრეზიდენტმა გადაწყვიტა, ეცნობებინა საქართველოს მთავრობისათვის საჩივარის თაობაზე. სასამართლომ კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის საფუძველზე ასევე გადაწყვიტა, განეხილა საჩივარის არსებითი მხარე და ამავე დროს მისი დასაშვებობის საკითხი.

## ფაქტები

### I. საქმის გარემოებები

4. მომჩივანი დაბადებულია 1946 წელს და ამჟამად ცხოვრობს ქ. თბილისში.

5. 1997 წ. 15 სექტემბერს პოლიციის ოპერაციის ჩატარებისას შემთხვევით დაიწვა მესტიის რაიონის სოფ. ბეჩოში შემთხვევის ადგილთან ახლოს მდებარე განმცხადებლის სახლი; ასევე დაიწვა სახლთან ახლოს მდებარე სამეურნეო შენობებიც. სახლი ამ შემთხვევამდე განმცხადებლის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა.

6. 1999 წ. 15 ივლისს მომჩივანმა მიყენებული ზიანის მოთხოვნით საჩივარი შეიტანა შინაგან საქმეთა სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ, და 2000 წ. 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით, მთაწმინდა-კრწანისის თბილისის რაიონულმა სასამართლომ დააკისრა მოპასუხე ხელისუფლების ორგანოებს მისთვის 60,000 ლარის (26,646 ევრო)<sup>1</sup> გადახდა კომპენსაციის სახით მისი ქონების განადგურების გამო („სასამართლოს გადაწყვეტილებით დაწესებული დავალიანება“). გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული იყო, რომ გადახდა უნდა განხორციელებულიყო 2001 წ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

7. 2000 წ. 27 დეკემბრის გადაწყვეტილება სრულად უცვლელად დატოვა თბილისის რაიონულმა სასამართლომ 2002 წ. 21 მარტს, ხოლო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2002 წ. 2 ოქტომბერს. შესაბამისად, ამავე დღეს გადაწყვეტილება ძალაში შევიდა.

8. 2002 წ. 19 ნოემბერს მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ მოპასუხე ორგანოების მიმართ გამოსცა სააღსრულებო ფურცელი, სადაც გამეორებული იყო ვალდებულება სასამართლოს გადაწყვეტილებით დაწესებული დავალიანების 2001 წ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადახდის შესახებ. ორგანოებს არც ამჯერად მოუხდენიათ რეაგირება.

9. განმცხადებლის მიერ პრეტენზიის გამოთქმის შემდგომ, 2003 წ. 8 იანვარს, იუსტიციის სამინისტროს აღსრულების დეპარტამენტმა მოუწოდა მოპასუხე ორგანოებს ნებაყოფლობით

<sup>1</sup> მოცემულია მიახლოებითი კონვერსია 2009 წლის 20 მაისს მოქმედი ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

გადაეხადათ სასამართლოს გადაწყვეტილებით დაწესებული დავალიანება მომდევნო სამი თვის განმავლობაში და გააფრთხილა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ იძულებითი აღსრულების ზომების გამოყენება მოხდებოდა. განსაზღვრული ვადა ამოიწურა, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაწესებული დავალიანების გადახდა არ განხორციელებულა, თუმცა ამ ფაქტს არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

10. 2005 წ. 11 ოქტომბერს აღსრულების დეპარტამენტმა საქართველოს ეროვნულ ბანკს გაუგზავნა ბრძანება სასამართლოს გადაწყვეტილებით დაწესებული დავალიანების გადახდის შესახებ. თუმცა, ამ ბრძანებაში მითითებული იყო არასწორი თანხა და ეროვნულმა ბანკმა აღსრულების გარეშე ბრძანება უკან დააბრუნა 2005 წ. 25 ნოემბერს.

11. 2006 წ. 1 დეკემბერს მომჩივანმა მიმართა ფინანსთა სამინისტროს სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობის შესახებ უახლესი ინფორმაციის მისაღებად.

12. 2006 წ. 13 დეკემბერს ფინანსთა სამინისტრომ მომჩივანს აცნობა, რომ მას არ შეეძლო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაწესებული დავალიანების გადახდა, რადგან შინაგან საქმეთა სამინისტრო ამას ნებაყოფლობით არ ასრულებდა.

13. 2006 წ. 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით, განმცხადებლის თხოვნის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2000 წ. 27 დეკემბრის გადაწყვეტილებიდან ამოიღო მითითება დავალიანების 2001 წ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფარვის შესახებ, როგორც ობიექტურად აღსრულებადი დებულება. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2007 წ. 28 მაისს, ხოლო 2007 წ. 4 სექტემბერს საქალაქო სასამართლომ გამოსცა შესაბამისი სააღსრულებო ფურცელი.

14. 2008 წ. 2 აპრილს წინა, 2002 წ. 19 ნოემბრის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, აღსრულების დეპარტამენტმა მოსთხოვა საქართველოს ეროვნულ ბანკს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაწესებული დავალიანების გადახდა. ამ უკანასკნელმა ეს გადახდა განახორციელა 2008 წ. 4 აპრილს და სამი დღის შემდეგ მომჩივანმა სრულად დაიბრუნა ვალი.

## II. შესაბამისი შიდა კანონმდებლობა

15. შესაბამისი სამართლებრივი ნორმები, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული სააღსრულებო წარმოების განხორციელებას სახელმწიფო უწყების მიმართ, მითითებულია საქმეში „შ.პ.ს. *Amat-G*“ და *მებაღიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Amat-G LTD and Mebagishvili v. Georgia, № 2507/03, §§ 25-27, ECHR 2005-VIII)*.

## სამართალი

### I. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის და № 1 ოქმის 1-ლი პარაგრაფის სავარაუდო დარღვევა

16. მომჩივანი ასაჩივრებდა, რომ 2000 წ. 27 დეკემბერს ძალაში შესული გადაწყვეტილება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ აღსრულდა, რითაც დაირღვა მისი, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის და № 1 ოქმის 1-ლი მუხლით გათვალისწინებული უფლება, რომელთა შესაბამისი ნაწილების მიხედვით:

#### მუხლი 6 (1)

„სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას... ყველა პირს აქვს სასამართლოს მიერ მისი საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება ...“

#### ოქმი № 1 მუხლი 1

„ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება“

17. მთავრობამ საჩივარა, რომ სადავო გადაწყვეტილების აღსრულების შემდგომ მომჩივანი ველარ ჩაითვლებოდა დაზარალებულად აღნიშნულ დარღვევებში, კონვენციის 34-ე მუხლის მნიშვნელობით.

18. მთავრობა ასევე ამტკიცებდა, რომ მომჩივანს არ ამოუწურავს სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები, ვინაიდან მას არ შეუტანია სამოქალაქო საჩივარი ადგილობრივ სასამართლოებში, ან აღუძრავს სისხლის სამართლის ან/და ადმინისტრაციული წარმოება, რათა გაეპროტესტებინა აღმასრულებლების უმოქმედობა და მოეთხოვა შესაბამისი ზიანის ანაზღაურება.

19. საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით, შესაბამის გარემოებებზე დაყრდნობით, მთავრობამ საჩივარა, რომ აღმასრულებელმა ორგანომ სააღსრულებო წარმოება წარმართა ჯეროვნად, ხოლო ის გარემოება, რომ ვერ მოხერხდა სასამართლოს გადაწყვეტილებით დაწესებული დავალიანების უფრო ადრე გადახდა, გამოწვეული იყო სახელმწიფო ბიუჯეტის საკმარისი ასიგნებების არარსებობით, ასევე 2000 წ. 27 დეკემბრის ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ფორმულირებაში არსებული ხარვეზებით. მთავრობა იშველიებდა ბოლოდროს მიღებულ სამართლებრივ ზომებს და სტატისტიკურ მონაცემებს და აცხადებდა, რომ მთლიანობაში, მოპასუხე სახელმწიფომ გამოასწორა მდგომარეობა სასამართლოს გადაწყვეტილებით დაწესებული დავალიანებების დროულად გადახდის კუთხით.

20. მომჩივანი არ ეთანხმებოდა ზემოაღნიშნულ განცხადებას და ამბობდა, რომ 2000 წ. 27 დეკემბრის გადაწყვეტილების დაგვიანებით აღსრულება თავისთავად ვერ გამოასწორებდა სააღსრულებო წარმოების არაგონივრულ ხანგრძლივობას. აღსრულების გაჭიანურება განსაკუთრებით საზიანო იყო მის მდგომარეობაში, ვინაიდან სახლის დაკარგვის გამო კომპენსაციის დროული მიღება მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. იგი აცხადებდა, რომ საბოლოოდ აღსრულების განხორციელების ნამდვილი მიზეზი იყო არა სახელისუფლებო ორგანოების კეთილი ნება, როგორც ამას მთავრობა აცხადებდა, არამედ მის საქმეში სასამართლოს ჩართვა.

21. სასამართლოს შესაბამის შესაბამის პრეცედენტულ სამართალზე მითითებით, მომჩივანმა დამატებით გააპროტესტა მთავრობის მიერ მოხსენიებული ადგილობრივი დაცვის საშუალებების შესაბამისობა და ეფექტურობა.

#### **ა. დასაშვებობა**

##### *1. განმცხადებლის დაზარალებულის სტატუსთან დაკავშირებით*

22. სასამართლო ეთანხმება მთავრობას, რომ განმცხადებლის სასარგებლოდ გადაწყვეტილების აღსრულებით გამოსწორდა არაღსრულების საკითხი, როგორც ასეთი. მიუხედავად ამისა, ამგვარი დაგვიანებული აღსრულება ვერ იქნება არგუმენტი

პროცედურის მეტისმეტი ხანგრძლივობის შესახებ მტკიცების წინააღმდეგ. შესაბამისად, მომჩივანს მაინც შეუძლია თავი გამოაცხადოს დაზარალებულად კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით და № 1 ოქმის 1-ლი მუხლით გათვალისწინებული უფლებების სავარაუდო დარღვევის გამო იმ პერიოდისათვის, რომლის განმავლობაშიც 2000 წ. 7 დეკემბრის გადაწყვეტილება არ იყო აღსრულებული (სხვა წყაროთა შორის, იხილეთ *Voytenko v. Ukraine*, no. 18966/02, § 32-35, 29 June 2004; *Romashov v. Ukraine*, no. 67534/01, §§ 23-27, 27 July 2004; *Skubenko v. Ukraine* (dec.), no. 41152/98, 6 April 2004).

23. შესაბამისად, სასამართლო უარყოფს მთავრობის წინასწარ შეპასუხებას განმცხადებლის დაზარალებულის სტატუსთან დაკავშირებით.

## 2. შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვასთან დაკავშირებით

24. სასამართლო წინამდებარე საკითხზე არსებულ პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, აცხადებს, რომ მთავრობის მიერ შემოთავაზებული დაცვის ვერც ერთი (იხ. ზემოთ §18) საშუალება ვერ ჩაითვლება ეფექტურად განმცხადებლის საჩივრის შემთხვევაში ხელისუფლების ორგანოების წინააღმდეგ გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურებასთან დაკავშირებით. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული დავალიანებების დადგენილ ვადებში არგადახდა დაკავშირებულია სათანადო სამართლებრივ-საბიუჯეტო ზომებთან, როგორც ეს აღიარა მთავრობამ მიმდინარე საქმის შემთხვევაში (იხ. ზემოთ §19), და არა აღმასრულებელი ორგანოს ქმედებებთან (სხვა წყაროთა შორის, იხილეთ *Magomedov v. Russia*, no. 20111/03, § 21, 4 December 2008; *Amat-G Ltd and Mebaghishvili*, ზემოთ ციტირებული, §§ 37-40; *IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia*, no. 28537/02, §§ 31-37, 27 September 2005; *Voytenko*, ზემოთ ციტირებული, §§ 28-32; *Romashov*, ზემოთ ციტირებული, §§ 28-33).

25. ამდენად, მთავრობის მეორე წინასწარი შეპასუხება უნდა იქნას უარყოფილი.

## 3. დასკვნა

26. სასამართლო ასკვნის, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის და №1 ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე



წარდგენილი პრეტენზიები არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის მნიშვნელობით. ის ასევე აღნიშნავს, რომ ეს საჩივარები არ არის დაუშვებელი რაიმე სხვა საფუძვლის გამო. ამდენად, უნდა იქნას გამოცხადებული დასაშვებად.

## ბ. არსებითი მხარე

27. სასამართლო აცხადებს, რომ პირი, რომლის მიმართაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სახელმწიფოს წინააღმდეგ, არ უნდა იყოს ვალდებული, ცალკე აღძრას სააღსრულებო წარმოება (იხ. *Metaxas v. Greece*, no. 8415/02, § 19, 27 May 2004). ეს პრინციპი, წინამდებარე საქმის გარემოებების ჭრილში, ნიშნავს, რომ მოპასუხე სახელმწიფოს დაეკისრა პასუხისმგებლობა 2000 წ. 27 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულებაზე ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან, ანუ 2002 წ. 2 ოქტომბრიდან (იხ. ზემოთ §7; იხ. აგრეთვე *Magomedov*, ზემოთ ციტირებული, § 21; *Semochkin v. Russia*, no. 3885/04, § 17, 4 December 2008). ეს გადაწყვეტილება არ აღსრულდა 5 წ.ა და 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში (იხ. ზემოთ §14).

28. სასამართლოს მიაჩნია, რომ ეს პერიოდი არაგონივრულად ხანგრძლივია, განსაკუთრებით როდესაც განიხილება აღნიშნული სააღსრულებო წარმოების სიმარტივე, მხარეების ქცევა და გამცხადებლის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებული დავალიანების დროულად მიღების მნიშვნელოვნება (იხ. *Raylyan v. Russia*, no. 22000/03, § 31, 15 February 2007). მთავრობას არ მოუყვანია არგუმენტად არც ერთი გარემოება, რომელიც გაამართლებდა აღსრულების ამგვარ გაჭიანურებას. სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების არარსებობა არ წარმოადგენს გამამართლებელ მიზეზს (იხ., მაგ., *Amat-G and Mebaghishvili*, ზემოთ ციტირებული, §48). ასევე არც სავარაუდო საპროცესო სირთულის ფაქტორის გამოყენება შეიძლება განმცხადებლის წინააღმდეგ (იხ. ზემოთ §19).

29. ზემოაღნიშნული მოსაზრებები საკმარისია იმისათვის, რომ სასამართლომ დაასკვნას, რომ ადგილობრივი ორგანოების მიერ ხუთწელიწად-ნახევრის განმავლობაში ძალაში შესული გადაწყვეტილების განმცხადებლის სასარგებლოდ არაღსრულებით შეილახა მისი სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, ხელი

შეეშალა მის მიერ საკუთარი ქონების შეუფერხებლად სარგებლობის უფლების განხორციელებას (იხ. *Voytenko*, ზემოთ ციტირებული, §§ 43 and 55; *Vodopyanovy v. Ukraine*, no. 22214/02, §§ 31-36, 17 January 2006).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის და № 1 ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას.

## II. კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

30. წინამდებარე საქმეში, ასევე მოხდა კონვენციის მე-13 მუხლის მოხმობა განმცხადებლის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებული დავალიანების დროულად არმიღების მტკიცების მიზნით.

31. თუმცა, სასამართლო კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის და № 1 ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე მიღებული დასკვნების გათვალისწინებით (იხ. ზემოთ §29), მიიჩნევა, რომ მოცემული გარემოებების გათვალისწინებით არ არის აუცილებელი აღნიშნული საჩივრის კონვენციის მე-13 მუხლის ფარგლებში განხილვა (იხ. *Paslen v. Ukraine*, no. 44327/05, § 14, 11 December 2008, and *Derkach and Palek v. Ukraine*, nos. 34297/02 and 39574/02, § 42, 21 December 2004).

## III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

### 32. კონვენციის 41-ე მუხლის მიხედვით:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

### ა. ზიანი

33. მომჩივანმა მოითხოვა თანხა მატერიალური ზიანისათვის, რომელიც აანაზღაურებდა მის მიერ მცირე მეურნეობიდან მისაღები შემოსავლის დანაკარგს და ასევე პროცენტს, რომელიც უნდა გადახდილიყო სასამართლოს გადაწყვეტილებით

აღიარებული დავალიანების გადახდისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის განაკვეთის შესაბამისად მთელი იმ პერიოდისათვის, რომლის განმავლობაშიც ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება არ ხდებოდა. შესაბამისი გამოთვლების განხორციელების დისკრეციული უფლება სასამართლოს მიენიჭა.

34. მომჩივანი ასევე ითხოვდა 200,000 ლარს (88,818 ევროს) მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

35. მთავრობამ გააპროტესტა აღნიშნული მოთხოვნები, როგორც დაუსაბუთებელი და გადაჭარბებული.

36. სასამართლო ვერ ხედავს რაიმე მიზეზობრივ კავშირს აღმოჩენილ დარღვევებსა და მოთხოვნილ ზიანის ანაზღაურებას შორის; ამდენად, სასამართლო უარყოფს ამ მოთხოვნას. თუმცა, სასამართლო აღიარებს, რომ მომჩივანს მიადგა ზიანი დაგვიანებით აღსრულების გამო. სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით, სასამართლო მომჩივანს მიაკუთვნებს 3,000 ევროს.

### ბ. სასამართლო ხარჯები

37. მომჩივანმა ასევე მოითხოვა 5,000 ევროს ანაზღაურება იმ ხარჯებისთვის, რომელიც მან სასამართლოში საქმის წარმოების დროს გასწია, თუმცა მათი დამამტკიცებელი საბუთები არ წარმოუდგენია.

38. მთავრობამ აღნიშნა, რომ აღნიშნული მოთხოვნა დაუსაბუთებელი იყო.

39. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მომჩივანს ეკუთვნის გაწეული ხარჯების ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დასტურდება, რომ ეს ხარჯები ნამდვილად საჭიროებიდან გამომდინარე იქნა გაწეული და არის გონივრული მოცულობის. წინამდებარე საქმის შემთხვევაში, დოკუმენტაციის არარსებობიდან და ზემოაღნიშნული კრიტერიუმებიდან გამომდინარე, სასამართლო უარყოფს ამ მოთხოვნას.

### გ. დაგვიანებით გადახდისათვის დაკისრებული პროცენტი

40. სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია დაგვიანებით გადახდისათვის პროცენტის დაფუძნება ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრულ სასესხო განაკვეთზე, რომელსაც უნდა დაემატოს სამი პროცენტი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

1. აცხადებს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ ნაწილში და № 1 ოქმის 1-ელ მუხლში საჩივარს დასაშვებად;
2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის და №1 ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას;
3. ადგენს, რომ არ არის საჭირო საჩივრის ცალკე განხილვა კონვენციის მე-13 მუხლის შესაბამისად;
4. ადგენს,

(ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ მომჩივანს, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში მოპასუხე სახელმწიფოში გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში უნდა გადაუხადოს 3.000 ევრო (სამი ათასი ევრო), ისე, როგორც ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შესაძლებელია დაეკისროს მორალური ზიანისათვის;

(ბ) აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, ზემოხსენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება, გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი მარტივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი;

5. უარყოფს განმცხადებლის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით, 2009 წ. 21 ივლისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პარაგრაფების შესაბამისად.

სალი დოლე  
განმწესრიგებელი

ფრანსუაზ ტულკენსი  
პრეზიდენტი